

ნათია კობალეიშვილი,  
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და  
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის  
დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

## ტექნოლოგიების მზარდი როლი ხელოვნებისა და განათლების სფეროში

### რეზიუმე

ტექნოლოგიური პროგრესის გავლენით თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა სწრაფი ნაბიჯებით გარდაიქმნება ხელოვნური ინტელექტი ერთ-ერთი ყველაზე რევოლუციური ძალაა ამ პროცესში, რომელიც ცვლის, როგორც სწავლების, ასევე შემოქმედებითი საქმიანობის მიდგომებს და ახალ საგანმანათლებლო რეალობას ქმნის 21-ე საუკუნეში.

ხელოვნების მენეჯმენტი, როგორც დისციპლინა, აერთიანებს კულტურას, კრეატიულ ინდუსტრი-

ებს და სტრატეგიულ მენეჯმენტს. ხელოვნური ინტელექტი ხელოვნებასა და საგანმანათლებლო პროცესში ქმნის შესაძლებლობებს: თუმცა, არსებობს გამოწვევები და ეთიკური საკითხები. მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა კრეატიულობასა და ტექნოლოგიას შორის. განათლება უნდა ემსახურებოდეს, როგორც ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებას, ასევე ფეხდაფეხ მიჰყვებოდეს ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენებას.

*საკვანძო სიტყვები: ტექნოლოგიური პროგრესი, ხელოვნური ინტელექტი, ხელოვნების მენეჯმენტი, საგანმანათლებლო პროცესი.*

ტექნოლოგიური პროგრესის გავლენით თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა სწრაფი ნაბიჯებით გარდაიქმნება. ხელოვნური ინტელექტი ერთ-ერთი ყველაზე რევოლუციური ძალაა ამ პროცესში, რომელიც ცვლის, როგორც სწავლების, ასევე შემოქმედებითი საქმიანობის მიდგომებს და ახალ საგანმანათლებლო რეალობას ქმნის 21-ე საუკუნეში.

ხელოვნების მენეჯმენტი, როგორც დისციპლინა აერთიანებს კულტურას, კრეატიულ ინდუსტრიებს და სტრატეგიულ მენეჯმენტს. ამ დისციპლინებსა და საგანმანათლებლო პროცესებში ხელოვნუ-

რი ინტელექტი ცვლის სწავლების მეთოდოლოგიას და მენეჯმენტის მოდელებს. ART მენეჯმენტი მოიცავს კულტურული პროექტების დაგეგმვასა და რესურსების მართვას; კულტურული ორგანიზაციებისა და აუდიტორიის განვითარებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას; ხელოვნების პოპულარიზაციას და საზოგადოებასთან კომუნიკაციას. განათლების მიმართულებით ART მენეჯმენტი ხელს უწყობს მულტიდისციპლინარულ, კრეატიულ აზროვნებას, ორგანიზციულ უნარებს და ამზადებს პროფესიონალებს სფეროში დასასაქმებლად. „კრეატიულობა იბადება იქ, სადაც იდეები და ტექნოლოგია ერთმანეთთან ურთიერთქმედებს“.<sup>1</sup>

საგანმანათლებლო სივრცეში ახალი ტექნოლოგიების როლი ისეთ შესაძლებლობებს იძლევა, როგორც არის თემატური მასალის თითოეული მოსწავლის ცოდნის დონესთან ადაპტირება, პერსონალიზებული სწავლება, ვინაიდან ინდივიდუალიზმი შემოქმედებით სფეროში უმნიშვნელოვანესია. კონტენტის, სცენარების, პრეზენტაციების, საგამოფენო კონცეფციების გენერირება, ვიზუალური მასალების განვითარება, კულტურული ღონისძიებების დაგეგმვა და ანალიზი, რაც ART მენეჯმენტის პროექტების შეფასებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. „ხელოვნურმა ინტელექტმა არ უნდა შეცვალოს პედაგოგი, არამედ უნდა გააძლიეროს მისი შესაძლებლობები და შექმნას სწავლების ახალი ფორმები, მიდგომები, რომლებიც გააძლიერებს ინდივიდუალური სწავლების პროცესებს და უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე საჭიროებებს“.<sup>2</sup> სწორედ, ამ შემთხვევაში აღმოჩნდება ზუსტად მორგებული თანამედროვე ტექნოლოგია საგანმანათლებლო პროცესებთან.

ყოველი ეპოქა ქმნის ახალ ესთეტიკურ გამოცდილებას, იბადება ინოვაციური იდეები, რომლებიც ცვლის ხელოვნების აღქმას და აზროვნების ფორმებს. საუკუნეების განმავლობაში ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ, გამოქვაბულებიდან დღევანდელ, ციფრულ ხელოვნებამდე, 21-ე საუკუნეში ტექნოლოგიების გავლენა განსაკუთრებით მძაფრია და ხელოვნებას ინოვაციური თვითგამოხატვის სხვადასხვა საშუალებას აძლევს, აუდიტორიას კი, რა თქმა უნდა, ახალ გამოწვევებსა და გამოცდილებას სთავაზობს.

1 Bilton, Management, 2017, p. 56.

2 Luckin, Machine, 2016, p. 14.

ციფრულმა ტექნოლოგიებმა ხელოვნების ტრადიციული ფორმები შეცვალა. 3D მოდელირებამ ახალი შესაძლებლობები შექმნა სივრცის აღქმისთვის არქიტექტურასა და დიზაინში. მუზეუმებში ვიზიტორები ხშირად ისეთ ვიდეორტებსა და მედიაინსტალაციებს ხვდებიან, სადაც შუქი, ხმა და მოძრაობა სინთეზშია. მხატვრებისათვის, არქიტექტორებისათვის, დიზაინერებისათვის ციფრული გრაფიკა, ფოტომონტაჟი და მოდელირება ბუნებრივ ინსტრუმენტად გადაიქცა.

ვირტუალური რეალობა ახალ გამოცდილებას ქმნის. არსებობს ვირტუალური მუზეუმები, სადაც შეგვიძლია აპლიკაციების საშუალებით ცხადად დავინახოთ ქანდაკება, არქიტექტურული ობიექტი, ან ცნობილი ფერწერული ტილო. ამ შემთხვევაში ვიზიტორი აქტიური მონაწილე ხდება პროცესების და იგი მხოლოდ დამთვალიერებელი როდია.

გარდა ამისა, ხელოვნების საკუთარი ნამუშევრების პოპულარიზაციისა და ხელმისაწვდომობისთვის სხვადასხვა სოციალურ პლატფორმას იყენებენ და ამ შემთხვევაში სოციალური მედიის როლი მნიშვნელოვანია ხელოვნების ეკონომიკის განვითარებისთვის. ვალტერ ბენიამინმა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში გააანალიზა, ტექნოლოგიის გავლენა ხელოვნებაზე, „ტექნიკური რეპროდუქციის ეპოქაში ხელოვნების ნამუშევარი კარგავს თავის უნიკალურობასა და ავთენტურობის აურას“.<sup>1</sup> თუმცა, ამავდროულად, იგი უფრო ხელმისაწვდომი ხდება ფართო აუდიტორიისთვის – სოციალური მედიის დაგეგმვა და ავტომატიზაცია, ციფრული მარკეტინგის და რეკლამების ანალიზი, AI-ის საშუალებებით ციფრული გამოფენებისა და შერჩეული ნამუშევრების თერმატიკასთან დაკავშირებით კურატორობა, ციფრული არქივების შექმნა და ანალიზი.

21-ე საუკუნის ხელოვნება ტრადიციულისა და ციფრული ფორმების სინთეზია. ხელოვნება ადამიანის აზროვნებას, გრძნობებს და კულტურულ ევოლუციას „სარკისებურად“ ალბეჭდავს.

მიუხედავად იმისა, რომ ციფრულმა ტექნოლოგიებმა ხელოვნება ხელმისაწვდომი გახადა, შეცვალა მისი ავთენტურობის განცდა, სწორედ ამიტომაც ისმევა ხშირად სკეპტიკური კითხვები, რჩება თუ არა ადამიანი მზარდი ტექნოლოგიური განვითარების პროცესებში მთავარ შემოქმედად? ვინ არის ავტორი – ადამიანი თუ ალგორითმი? როდის ხდება კოპირება და როდის არის ინოვაცია?

<sup>1</sup> Benjamin, The work, 2008, p. 23.

რა თქმა უნდა, არსებობს გამოწვევები და რისკები, როგორც ბიცაა შემოქმედებითი აზროვნების შესუსტების რისკი, ტექნოლოგიებზე დამოკიდებულების რისკები, საავტორო და ინტელექტუალური საკუთრების საკითხები და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკური საკითხები.

თანამედროვე ციფრულ ეპოქაში ტექნოლოგია და ხელოვნება აღარ წარმოადგენს ერთმანეთისგან განცალკევებულ სფეროებს. ისინი სინთეზურად ურთიერთქმედებენ, მიუხედავად ტექნოლოგიური პროგრესის მასშტაბებისა, ხელოვნური ინტელექტი ხელოვნებასა და საგანმანათლებლო პროცესში ქმნის შესაძლებლობებს: თუმცა არსებობს გამოწვევები და ეთიკური საკითხები. მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა კრეატიულობასა და ტექნოლოგიას შორის. განათლება უნდა ემსახურებოდეს, როგორც ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებას, ასევე ფეხდაფეხ მიჰყვებოდეს თანამედროვე ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენებას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პასუხისმგებლობას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- Benjamin W., *The Work of Art in the Age of Mechanical Reproduction*, 2008 (Original work published 1936).
- Bilton C., *Management and Creativity: From Creative Industries to Creative Management*, 2017.
- Luckin R., *Machine Learning and Human Intelligence*, 2016.
- Manovich L., *The Language of New Media*, 2001.
- OECD, *Artificial Intelligence and the Future of Education*, 2021.
- Sherman W. R., Craig, A. B., *Understanding Virtual Reality*, 2018.

Natia Kopaleishvili,  
PhD, Assistant Professor,  
Georgian Shota Rustaveli Theatre and Cinema State University

## THE GROWING ROLE OF TECHNOLOGY IN THE ARTS AND EDUCATION

*Keywords: Technological advancement, Artificial Intelligence (AI), Arts management, Educational process.*

### Abstract

Under the influence of technological progress, the modern education system is undergoing rapid transformation. Artificial intelligence is one of the most revolutionary forces in this process, changing approaches to both teaching and creative activity and creating a new educational reality in the 21st century.

Arts management as a discipline combines culture, creative industries, and strategic management. Artificial intelligence creates opportunities in the arts and education process; however, there are challenges and ethical issues. It is important to maintain a balance between creativity and technology. Education should serve both to develop human creative abilities and to keep pace with the use of technological capabilities.